პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 აპრილი შაბათი 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 87 (15908)

ხუთწლედი—ვადამდე!

ყველა უბანი დამკვრელურია

ზუგდიდი. წელს ენგურჰესის მშენებლობის ყველა უბანი დამკვრელურია. დღითი დღე კმატება ბეტონს ბეტონი, ტანი აიყარა კაშხალმა. შროლითი გამოცოცხლებაა ენგურის გადასაგდებზე. ქ უკვე შეკრეს მარტივი ტიპის კაშხალის ე. წ. რკინა-კონსტრუქცია — ბლოკების „ჩონჩხი“, რომელშიც ბეტონის ჩასხმა დაიწყო. სახე იცვალა მიწისქვეშა ელექტროსადგურის სამანქანო შენობის მშენებლობამ. დაიწყო სადაწნეო გვირაბების ქვედა საფეხურების დამუშავება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურმა საექსპლოატაციო საგზური მიიღოს 1977 წელს.

ენგურჰესელებმა შეჯამეს პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა. მათ ანგარიშზეა შესრულებული 6 მილიონ 815 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გეგმა კი 6 მილიონ 400 ათასი მანეთის სამუშაოთა შესრულებას ითვალისწინებდა.

ლ. ბარძაია,

ენგურჰესის მშენებლობაზე „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

მრავალი მისამართით

ბათუმი. („კომუნისტის“ თანამშ. კორ. ამ. ერემეიშვილაძე). ბათუმელი მანქანათმშენებლები ყოველწლიურად სამოცამდე დასახელების მანქანებს უშვებენ და ყოველწლიურად მრავალ სხვადასხვა სახის მანქანას ითვისებენ.

ჭარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უშვებს ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას. წელს შეუდგენენ ლაო-ჩაის გადასამუშავებელი ნახევრადავტომატური ხაზის დამზადებას, იგი ორჯერ ამცირებს სამუშაო პროცესს და ზრდის წარმადობას.

მნიშვნელოვანი პერსპექტივებია გათვალისწინებული მეორე კვარტალში. გამოუშვებენ ჩაის სალნობ აპარეატებს, აპრითვე ღვინის ნარჩენების გადასამუშავებელ ნახევრადავტომატურ მანქანებს.

განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ბათუმური ღვინის ავზები და სახეხი მანქანები. მანქანათმშენებელთა ნახელავზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. ამჟამად ჭარხანა ასრულებს რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყნების დაკვეთებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1974 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

4. კომუნისტებო! იყავით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და ალმზრდელები!

5. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლოთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

6. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!

7. დიდება დიად საბჭოთა კავშირს — კომუნიზმის მშენებელს!

8. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის გმირ მუშათა კლასს — წამყვან ძალას კომუნიზმის მშენებლობაში!

9. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

10. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

11. გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს! დიე მტკიცდებოდეს საბჭოთა საზოგადოების ურღვევი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა!

12. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად მონაპოვარს!

13. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასს, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

14. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოებს! დიე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური დემოკრატია. იზრდებოდეს საბჭოების დეპუტატთა აქტივობა, ფართოვდებოდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში!

15. საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში! ავირჩიოთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილები, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენლები!

16. საბჭოთა პროფკავშირებო! გაკაუმჯობესეთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და გაზარდეთ მისი ქმედითობა! უფრო ფართოდ ჩაბეთ მშრომელები წარმოების მართვაში!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას.

17. ქალაშვილებო და ბებუკებო! ბეჯითად დეეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას — მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს! ამრავლეთ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო, შრომითი ტრადიციები! იყავით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლნი!

18. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

19. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

20. საბჭოთა მეომრებო! დაუცხრომლად სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ფხიზლად და ხაიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა!

გაუმარჯოს სსრ კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

21. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების საფუძვლის — სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობისათვის, ეცადეთ გამოუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით! იბრძოლეთ სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის!

23. დიდება ხუთწლედის დამკვრელებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან!

24. მრეწველობის მუშაკებო, იბრძოლეთ ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის! რაც შეიძლება სწრაფად ითვისეთ ახალი სიმძლავრენი, დაიჩქარეთ ტექნიკური პროგრესი! ფართო გზა ახალ ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას!

25. მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და განაახლეთ მისი ასორტიმენტი, გააუმჯობესეთ ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება!

26. მშენებლობის მუშაკებო! ბეჯითად იბრძოლეთ ახალი ობიექტების დროული ამოქმედებისათვის! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება!

27. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებები! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურება, უფრო სრულად დაკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

28. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, შრომითი და მატერიალური რესურსები! გაზარდეთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება.

29. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! უფრო ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის! ფორო მაღალხარისხოვნად ჩაატარეთ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები! იბრძოლეთ გეგმებ-სა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ხუთწლედის მეოთხე წელს!

30. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! გაადიდეთ პროდუქციის წარმოება! განვითარეთ სპეციალიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე!

31. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებო! განამტკიცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა! დაიჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ელიფიკაციისა, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპები!

32. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! აქტიურად დანერგეთ მუშაობის პროგრესული ფორმები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების მაღალი კულტურისათვის!

33. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის!

აამაღლეთ შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა! წმიდად დაიცავით და აამაღლეთ საზოგადოებრივი საკუთრება!

34. სახალხო მეურნეობის მუშაკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ეკონომიკურ ცოდნას, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს! უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები!

35. საბჭოთა კავშირის შრომელებო! ყოველნაირად აამაღლეთ შრომითი კოლექტივების როლი თვითეული ადამიანის კომუნისტურ აღზრდაში, შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ განვითარებაში!

36. საბჭოთა მეცნიერებო და ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო! რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა! ყოველი ღონისძიებით დაიჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი! იბრძოლეთ, რომ უსწრაფესად ინერგებოდეს სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები!

37. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! მაღლა აატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყავით მხატვრული ოსტატობა, თქვენი ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა აღზრდას!

38. სახალხო განათლების მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესეთ სწავლების ხარისხი, სრულყავით სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადება! მოზარდი თაობა აღზარდეთ კომუნისტური ზნეობის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

39. ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში!

40. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! გაუზიარეთ ახალგაზრდობას თქვენი ცოდნა და გამოცდილება, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ახალგაზრდა თაობის აღზრდაში საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!

41. პიონერებო და მოსწავლეებო! მზურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, კარგად იხეკვლეთ. დაეუფლეთ შრომითს ჩვევებს! იმზადეთ, რომ გახდეთ ლენინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

42. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა ნშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მედგარ მებრძოლებს!

43. დიე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე!

44. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დიე გაძლიერდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვარი, გაოამწყვეტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯი!

45. გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას!

უფრო მაღლა აღმართეთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა!

46. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს!

47. მზურვალე სალამი ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ბორკილები, იბრძვიან თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

48. მზურვალე სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

49. დიე მტკიცდებოდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მძლავრი კავშირი!

50. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც იტანჯებიან საპყრობილეებსა და ფაშისტურ დილეგებში!

თავისუფლება კაპიტალის ტყვეებს!

51. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალისტური აგრესიის ძალებზე!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობას!

მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ინდოჩინეთის ყველა ხალხს!

52. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, მშრომელებსა და ინტელიგენციას, რომლებიც მამაცურად იბრძვიან რეაქციულ-ფაშისტური ძალების ტერორის წინააღმდეგ!

მსოფლიოს ხალხებო! განამტკიცეთ სოლიდარობა ჩილელ პატრიოტებთან!

თავისუფლება ლუის კორვალანს! თავისუფლება ფაშისტური ხუნტის ყველა ტყვეს!

53. მსოფლიოს ხალხებო! ამრავლეთ მეცადინეობა ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხისა და ხალხისათვის საიმედო და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში!

დიე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

54. ევროპის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ ევროპის კონტინენტი გადაიქცეს მყარი მშვიდობისა და ხალხმეგობრული ურთიერთთანამშრომლობის რაიონად! მიაღწიეთ, რომ წარმატებით დამთავრდეს ევროპის უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი!

55. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხმეგობრული ურთიერთობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, აზიის კოლექტიური უშიშროებისათვის!

56. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება შეუქცევადი გახდეს, მიაღწიეთ იმას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები გახდეს სხვადასხვა სოციალური წყობილების ხალხმეგობრული ურთიერთობის ნორმა! ამხილეთ აგრესიის, რევანშიზმისა და რეაქციის ძალების — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრების ხრიკები!

57. მსოფლიოს ხალხებო! მიაღწიეთ იმას, რომ ძალის გამოუყენებლობა საერთაშორისო ურთიერთობის კანონი გახდეს, ხოლო ატომური იარაღი სამუდამოდ აიკრძალოს! იბრძოლეთ გამალებული შეიარაღების შენელებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

58. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

გაუმარჯოს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის იდეებს!

59. დიე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

60. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება

11 აპრილს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** მოლაპარაკება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანთან, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ **ჰაფეზ ასადთან.**

მოლაპარაკებაში სირიის მხრივ მონაწილეობენ: არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე **აბდალა ალბერი,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი **ადელ ალმალ ჰადამი,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი **მუსამედ ჰეიდარი,** საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, არაბთა სოციალისტური კავშირის მდივანი **აბდელ განი კანუტი,** დაგეგმვის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი **მუსტაფა ჰალიჯი,** კომუნიკაციათა მინისტრი, სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ომარ სიაი,** ეფფრატის კაშხალის საქმეთა მინისტრი **მუნირ ვანუსი,** ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრი **მუსამედ იმადი,** სირიის ელჩი სსრ კავშირში **ეამალ შაია.**

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარეგიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი **ე. მ. სამოტეიკინი,** საბჭოთა კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში **ნ. ა. მუხიტდინოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **მ. დ. სიტნკო.**

ეულოთადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში განიხილეს საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის საკითხები. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს. სირიის მხარემ მაღალი შეფასება მისცა დახმარებასა და მხარდაჭერას, რომლებსაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უწევენ სირიის არაბთა რესპუბლიკას, არაბი ხალხების სამართლიან საქმეს, მათს ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმისათვის. გაიმართა აზრთა საფუძველიანი და კონსტრუქციული გაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე.

საერთაშორისო ვითარების შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. სადაც ისრაელის მმართველი წრეებისა და მათი მხარდამჭერი გარეშე ძალების მიზეზით კვლავ მშვიდობის საქმისათვის საშიში დაძაბულობაა.

12 აპრილს კრემლში დამთავრდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჰაფეზ ასადი.**

მხარეებმა განაგრძეს აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. სადაც ისრაელის მმართველი წრეებისა და მათი მომხრეთა შეურიგებლობის გამო ვითარება ისევ ფაფუკია. ეს ფაქტორი ამცირებს სამუშაო პროცესს და ზრდის წარმადობას.

მნიშვნელოვანი პერსპექტივებია გათვალისწინებული მეორე კვარტალში. გამოუშვებენ ჩაის სალნობ აპარეატებს, აპრითვე ღვინის ნარჩენების გადასამუშავებელ ნახევრადავტომატურ მანქანებს.

განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ბათუმური ღვინის ავზები და სახეხი მანქანები. მანქანათმშენებელთა ნახელავზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. ამჟამად ჭარხანა ასრულებს რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყნების დაკვეთებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო მეგობარო ჰაფეზ ასად!

ძვირფასო სირიელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

ჩვენ ჯულოთადად მიგესალმებით მოსკოვში არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს, არაბული სამყაროს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს ამხანაგ ჰაფეზ ასადს და მეგობარი სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც იგი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირში დიდ პატივს სცემენ სირიელ ხალხს, მის ხელმძღვანელებს. ჩვენს მეგობარს ამხანაგ ჰაფეზ ასადს პირველად როდი ვხვდებით, და ეს შეხვედრები უცილობლად მომდინარეობენ ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს შორის დამყარებულ მეგობრულ და ამხანაგურ ურთიერთობას. საბჭოთა და სირიელი ხელმძღვანელების რეგულარული კონტაქტები ჩვენი მტკიცე თანამეგობრობის დიდმნიშვნელოვან გამოვლინებად მიგვაჩნია.

დამოუკიდებელი სირია ახალგაზრდაა — მეოთხედ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნისაა. მთელი ამ ხნის მანძილზე, რესპუბლიკას უხდებოდა შეუპოვარი ბრძოლა თავისი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ. და მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირი სიტყვით კი არა, საქმით გიდგათ მხარში სირიელო მეგობრებო. სირიის დამოუკიდებლობის გარანტიებზე მანონეს. როცა იმპერიალისტები ცდილობდნენ ეკონომიური ბლოკადის მარყუჟში მოექციათ სირია, 1967 წლის ივნისის დღეებშიც, და, ბოლოს, გასული წლის ოქტომბრის ომების დროსაც, ჩვენი ქვეყანა მხარში გიდგათ დღესაც, როცა მომონაურობს ბრძოლა არაბი ხალხების ეროვნული უფლებათა აღიარებისათვის და ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს თქვენთან ერთად ახარებთ სირიის წარმატებები. და მიღწევები, ის პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა. საბჭოთა კავშირში ჭეროვნად ითესლენ ეროვნული ფრონტის მოღვაწეობის, რომელიც მოწმობს, რომ მტკიცდება ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობა. მაღლდება მისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სირიის დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან ერთად ვითარდებოდა ჩვენი თანამშრომლობა, მტკიცდებოდა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობა. ეს შემთხვევით ხომ არ არის? რა თქმა უნდა, არა. ამას განსაზღვრავს თვით ბუნება ჩვენი ურთიერთობისა, ის საფუძველი, რომელზეც იგი აგებულია. სოციალისტურ ქვეყნებს, სადაც სამუდამოდ აღიკვეთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, და ახალგაზრდა სახელმწიფოებს, რომლებიც დამოუკიდებლობისა და პროგრესული ორიენტაციის ბილ დაადგნენ, ეკავშირებით თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ძირეულ საკითხებში მიზნების ერთობა. ჩვენ გვაერთიანებს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, გვაკავშირებს სოციალური პროგრესის იდეალების ერთგულება.

ახლა საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობას თითქო ყოველმხრივი ხასიათი აქვს. იგი ვითარდება სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ხაზებით. იგი მოიცავს პოლიტიკურ სფეროსაც და ეკონომიურ სფეროსაც.

საბჭოთა და სირიელი ხალხების თანამშრომლობის ასეთი სიმბოლო გახდა გიგანტური მშენებლობა ეგვიპტეში. ამ მდინარის ნაპირებზე, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის მაცოცხლებელი წყარო იყო, იქმნება სირიის ინდუსტრიული აუმაყო. აქ შენდება ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი, რომელსაც დიდი საერთაშორისოენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს. და ჩვენ მოხარული ვართ, რომ სირიელი ხალხისათვის ეს ისტორიული ამოცანა წყდება საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით.

საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობა გაგრძელდა თავდაცვითს დარგზეც. ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას სირიისათვის, რომელსაც აგრესიისგან თავის დაცვა უხდება.

ჩვენ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მიუსალმა იმპერიალიზმის მიერ დამონებული ხალხთა გამოღვიძებას. მან იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ეს ხალხები, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მთელი კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში. ჩვენ სწორედ ასეთ დროში ვცხოვრობთ. განვითარებადი ქვეყნების ავანგარდი ზრდა. მსოფლიო საქმეებში მათი აქტივობის გაძლიერება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

(დასასრული მე-2 გვ.).

კრემლის დიდ სასახლეში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 11 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის **ჰაფეზ ასადის** პატივსაცემად.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად სადილზე იყვნენ სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, ს. ა. სკაჩკოვი, კ. ტ. მაზუროვი

კრემლის დიდ სასახლეში

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

თებელი ნიშანია. ეს პროცესი უკანასკნელი წლების მანძილზე აშკარად ძლიერდება, რასაც, უეჭველია, ხელს უწყობს დაძაბულობის საერთო შენელებაც. ლენინის ანდერძისამებრ საბჭოთა ქვეშირი უცვლელად უჭერდა და უჭერს მხარს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობს პასუხსაგებ მომენტში. არაბი ხალხების, ვიეტნამელების ბრძოლამ, არაბული ქვეყნების სოლიდარულმა მოქმედებამ, სოციალისტური სახელმწიფოების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მხრივ მტკიცე მხარდაჭერამ — ყოველივე ამან შეასუსტა აგრესორის პოზიციები. გაიფანტა მითი ისრაელის არმიის უძლეველობის შესახებ. არაბმა ხალხებმა დაამტკიცეს, რომ არასოდეს არ შეურეკდებიან თავიანთი მიწების ოკუპაციას.

ყველა ჩვენგანმა იცის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც კონფლიქტის არსებითი მოწესრიგების გზას საზღვდნენ. პირველად შეიქმნა ფაქტორტეტული საერთაშორისო ფორუმი — ჟენევის კონფერენცია, რომლის ფარგლებში შეიძლება მიეღწიოთ და უნდა მივაღწიოთ კიდეც მტკიცე და სამართლიან მოწესრიგებას.

მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ვითარება ჯერ ისევ საშიშია. სხვადასხვა ვერც იქნება, სანამ არ აღკვეთილა ძაძაბულობის მთავარი წყაროები, სანამ გრძელდება არაბული მიწების ოკუპაცია და არ არის ლიკვიდირებული ისრაელის აგრესიის შედეგები. სანამ არ შექმნილა ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის ეროვნული უშიშროების სამუდამო გარანტიები.

ეს უნდა შეიგნოს ყველამ. საშიშროებ ის არის, რომ ძაძაბულობის რამდენადმე შენელების ფონზე აგრესორსა და მის მთარველებს შეუძლიათ ქვეყნ სცადონ პრობლემის რადიკალური, ყოვლისმომცველი გადაწყვეტის თავიდან აცილება. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელ ხანს მიმართავენ, მე ვიტყოდი, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების „ნაბიჯ-გეგმებს“. თაქტიურად სამეტეხება საერთო მოწესრიგების შეცვლას სხვადასხვაგვარი „ნაწილობრივი“ შეთანხმებებით.

რაც შეეხება საბჭოთა ქავშირის პოზიციას, იგი წათელი და თანმიმდევრულია. ჩვენი პოლიტიკა მუდამ იყო და იქნება მიმართული აგრესიის წინააღმდეგ, არაბი ხალხების ქანონიერ უფლებათა მხარდასაჭერად. ჩვენ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის მომხრენი ვართ, ეს კი ნიშნავს ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს და უფრო გვიან ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან, ამ ოაიონის ყველა სახელმწიფოს უშიშროებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას. პალესტინის არაბი ხალხის ქანონიერ უფლებათა პატივისცემას. ჩვენ საესებით ვეთანხმებით სირიის იმაში, რომ ჯარების დაშორიშორების შესახებ ყოველგვარი შეთანხმება უნდა მივიჩნიოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის საერთო მოწესრიგების შემადგენელ ნაწილად, ყველა ოკუპირებული არაბული მიწიდან ისრაელის ჯარების სრული გაყვანის გზაზე გადადგმულ ნაბიჯად.

ეს კურსი ჩვენი პრინციპული პოზიციიდან გამომდინარეობს და ვადგავართ მას თანმიმდევრულად, ცრძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროსაც, როცა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ჩვენს მოქმედებას ეუთანხმებთ ჩვენს არაბ მეგობრებს. ჩვენ ვთანხმებთ ჩვენსა და თქვენს თანხმობას იმის თაობაზე, რომ მოწესრიგების ყველა ეტაპზე და ყველა დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ ქავშირის მონაწილეობას. ოონისძიებებში, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ პოლიტიკას, რომელსაც სირიის ხელმძღვანელობა ადგას არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ბინერალური მდინენს, პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის მეთაურობით და რომლის მიზანია სირიისა და საბჭოთა ქავშირის მეგობრობის განმტკიცება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიისა და საბჭოთა ქავშირის ეკონომიკური პარტიის ურთიერთობის განვითარება. რაც შეეხება საბჭოთა ქავშირს, შეგიძლიათ მისი იმედი იქონიოთ: იგი ყოველთვის ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს, რათა განმტკიცოს ძმური ურთიერთობა სირიელ ხალხთან, მხარი დაუჭიროს სირიის ბრძოლას დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მეგობრობას ქარგი პერსპექტივები აქვს. საბჭოთა ქავშირსა და სირიის უკვე არსებული ყოველმხრივი თანამშრომლობა მისი შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების სოლიდური ბაზაა.

ძვირფასო სირიელო მეგობრებო! ჩვენმა პირველმაგე საუბარმა კვლავ დადასტურა, რომ სირიისა და საბჭოთა ქავშირს აერთიანებთ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საერთო მოდგომა, რომ საბჭოთა ქავშირ-სირიის მეგობრობა და თანამშრომლობა კეთილაც გამტკიცდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. მოხარული ვართ, რომ სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, ამხანაგი ჰაფეზ ასადი ეწვევიან ჩვენი ქვეყნის მეოე რიგ რაიონებს, შეხვდებიან საბჭოთა ადამიანებს, უფრო ახლოს გაიცნობენ ჩვენს ცხოვრებას. შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენ ყველგან გამოსპინძლებენ როგორც ერთი მეგობრებს, როგორც თანამებრძოლებს.

ნება მიბოძეთ დღეგრძელობა ვუსურვო ჩვენს მეგობარს ჰაფეზ ასადსა და ყველა ჩვენს სირიელ მეგობარს, ვადღეგრძელო სირიელი ხალხის წარმატებანი, ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამანთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ბინერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ჰაფეზ ასადმა.**

ამხანაგ ჰაფეზ ასადის სიტყვა

ამხანაგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანო ლ. ი. ბრეჟნევ!

ამხანაგო სსრ ქავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი!

ამხანაგო სსრ ქავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინ!

მეგობრებო!

მე სულითა და გულით მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ბრეჟნევს მისალმებისა და მეგობრობის გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც სტუმარმოყვარეობისა და გულთბილობის თქვენი ოდინდელი ტრადიციების გამოხატულებაა.

ყოველთვის, როცა თქვენს დიდად ქვეყანაში ჩამოვდიოართ და ეგრძნობთ, რომ ვართ მეგობარ ქვეყანაში, მეგობრთა შორის, რომლებიც სიყვარულითა და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი ჩვენი ხალხისადმი, მხარს უჭერენ ჩვენს ბრძოლას. ჩვენი ხალხიც თავის მხრივ გულითადი მეგობრობისა და ოდი პატივისცემის გრძნობით ეკიდება თქვენს ხალხს. გულწრფელად მოგასალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ბინერალურმა მდივანმა, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აპმედ ჰასანალ-ბაქრმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს სსრ ქავშირისა და ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავთან დაკავშირებით.

1972 წლის ხელშეკრულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ქავშირისა და ერაყის ურთიერთობის ისტორიაში. შექმნა რა მტკიცე საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზა საბჭოთა ქავშირსა და ერაყს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისათვის, მას აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, ემპირიალიზმი, სიონიზმი და რეაქცია, რომლის ფარგლებში შეიძლება მიეღწიოთ და უნდა მივაღწიოთ კიდეც მტკიცე და სამართლიან მოწესრიგებას.

მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ვითარება ჯერ ისევ საშიშია. სხვადასხვა ვერც იქნება, სანამ არ აღკვეთილა ძაძაბულობის მთავარი წყაროები, სანამ გრძელდება არაბული მიწების ოკუპაცია და არ არის ლიკვიდირებული ისრაელის აგრესიის შედეგები. სანამ არ შექმნილა ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის ეროვნული უშიშროების სამუდამო გარანტიები.

ეს უნდა შეიგნოს ყველამ. საშიშროებ ის არის, რომ ძაძაბულობის რამდენადმე შენელების ფონზე აგრესორსა და მის მთარველებს შეუძლიათ ქვლავ სცადონ პრობლემის რადიკალური, ყოვლისმომცველი გადაწყვეტის თავიდან აცილება. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელ ხანს მიმართავენ, მე ვიტყოდი, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების „ნაბიჯ-გეგმებს“. თაქტიურად სამეტეხება საერთო მოწესრიგების შეცვლას სხვადასხვაგვარი „ნაწილობრივი“ შეთანხმებებით.

რაც შეეხება საბჭოთა ქავშირის პოზიციას, იგი წათელი და თანმიმდევრულია. ჩვენი პოლიტიკა მუდამ იყო და იქნება მიმართული აგრესიის წინააღმდეგ, არაბი ხალხების ქანონიერ უფლებათა მხარდასაჭერად. ჩვენ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის მომხრენი ვართ, ეს კი ნიშნავს ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს და უფრო გვიან ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან, ამ ოაიონის ყველა სახელმწიფოს უშიშროებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას. პალესტინის არაბი ხალხის ქანონიერ უფლებათა პატივისცემას. ჩვენ საესებით ვეთანხმებით სირიის იმაში, რომ ჯარების დაშორიშორების შესახებ ყოველგვარი შეთანხმება უნდა მივიჩნიოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის საერთო მოწესრიგების შემადგენელ ნაწილად, ყველა ოკუპირებული არაბული მიწიდან ისრაელის ჯარების სრული გაყვანის გზაზე გადადგმულ ნაბიჯად.

ეს კურსი ჩვენი პრინციპული პოზიციიდან გამომდინარეობს და ვადგავართ მას თანმიმდევრულად, ცრძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროსაც, როცა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ჩვენს მოქმედებას ეუთანხმებთ ჩვენს არაბ მეგობრებს. ჩვენ ვთანხმებთ ჩვენსა და თქვენს თანხმობას იმის

ვიარეთ უფრო წინ, მივაღწიოთ თქვენს!

ერთიანული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

ბაჩაღდა სასოფლო-სამეურნეო სამეუოაება. დღეთიდღე სულ უფრო ფართოვდება საგაზაფხულო კულტურების თესვა, ბალების, ვენახების, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების დამუშავების ფრონტი, იზრდება მრავალწლოვანი ნარგავების ფართობები. სოფლის მშრომელებს კარგი განწყობილება აქვთ. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არა მარტო განამტკიცონ, არამედ ამრავლონ კიდეც შარშან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში მოპოვებული წარმატებანი.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიზანდასახული მუშაობა, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების თავდადებული შრომა ყველა საფუძველს გვაძლევს ვიფარაფოდთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დასახული ტენდენცია განუხრელად განვითარდება. შეიქმნა რეალური წანამძღვრები იმისათვის, რომ ხუთწლედის მეოთხე, განსმაზღვრელი წელი გადავაქციოთ დიდი წარმატებების წლად. ამას ყველაზე კარგად მოწმობს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მისწრაფება კარგი საქმეებით ეპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო სამეუოაებს, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის შედეგებს, წინ უძღოდა დიდი და ყოველმხრივი მომზადება. თუმცა წვიმებმა რამდენადმე შეაფერხეს მინდვრის სამეუოაები და ბენეზრიეთა, შეაშვიდოროვეს თესვის ვადები, მაგრამ მათ ხელი არ შეუშლიათ ამ სამეუოაებისათვის, პირიქით ამ პირობებში მიწათმოქმედნი იჩენენ მეტ ოპერატიულობას, მოქნილად იყენებენ ტექნიკას, დიდმწარმოებლურად ამუშავენ მანქანებს. სწორედ ამის შედეგია თესვის კამპანიის პირველი წარმატებანი. პირველი აპრილისათვის ნაგაზაფხულო კულტურები დათესა 54.398 ჰექტარზე. მეკრა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა თესვას აწარმოებს შარშანდელზე უკეთესი ტემპით. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში დათესა 10.317 ჰექტარი, 1.956 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1973 წელს იყო, გორის რაიონში — თითქმის ერთიორად მეტი.

მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია. სიღნაღის, ნაგარეჯოს, გარდაბნის, ახმეტის, თეთრი წყაროსა და ზოგიერთ სხვა რაიონში ჩამორჩენენ საგაზაფხულო კულტურების თესვის შარშანდელ მაჩვენებლებს. ნელი ტემპით თესავენ მაქრის ჭარხლის კასპისა და ხაშურის რაიონების მეურნეობები, ბოსტნეულს — ლაგოდეხისა და ბოლნისის რაიონებში, კარტოფილს — სამხრეთ ოსეთში. ყოველ დარიან საათს, დღეს ახლა მაქსიმალურად იყენებენ ამისათვის, რომ ოპტიმალურ ვადებში დაამთავრონ თესვა.

შარშანდელზე უკეთ მოემზადენენ სეზონისათვის მექანიზატორები, მელიორატორები, დამამზადებლები, სატყეო მეურნეობის მუშაკები.

ცნობილია, რომ თვითეულ ჰექტარის ნაყოფიერება მჭიდროვანწყლად დამოკიდებულია სათეს მასალაზე. მაგრამ თესლისადმი მომთხოვნელი დამოკიდებულება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კანონი არ გამხდარა ყველა მიწათმოქმედისათვის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, აგრონომებრივმა ორგანოებმა, აღინიშნა თათბირზე, თავიანთ მკაცრ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ დასათესად თესლის მომზადება, სადაც ეს საჭიროა, გაიშროს და გაწმინდონ თესლი, ამისათვის გამოიყენონ არსებული ყველა ტექნიკური საშუალება, არ უნდა დავიეიწყოთ, რომ თესლი მოსავლის ოქროს ფონდია, რომ ასეთი ფონდის შექმნით არსებითად იწყება მიწათმოქმედების კულტურა.

თათბირზე მთელი სიმწეავით დაისვა საკითხი ახალი ვენახების, ხეხილის ბაღების, სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გეგმების უთუოდ შესრულების შესახებ. ზოგან არ ყოფნით სარგავი მასალა, ნიადაგი არ მოუმზადებიათ დასარგავად. განა შეიძლება მინდვრის სამუშაოთა გეგმების შესრულებაზე ვილაპარაკოთ, თუ დროულად არ არის გამზადებული სამუშაოდ ტრაქტორები და ნიადაგის დასამუშავებელი მანქანები. ტრაქტორების რემონტის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ ასპინძის რაიონში პირველი აპრილისათვის ტრაქტორების საერთო რიცხვიდან ბაზად იყო მხოლოდ 68 პროცენტი, ამბროლაურის რაიონში — 76 პროცენტი, სამხრეთ ოსეთში — 75 პროცენტი. საქმე მარტო რაოდენობრივ მხარეს როდი ეხება, მთელ რიგ რაიონებში იმის გამო, რომ აკლიათ მექანიზატორები, ტექნიკას ექსპლოატაციას ვერ უწევენ მთელი სამძღვრით, მინდვრის სამუშაოები ჭიაანურდება, ირღვევა აგროტექნიკის მოთხოვნები, ეს კი, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, იწვევს მოსავლის შემცირებას. სოფლად მექანიზატორთა კადრების მომზადება და შენარჩუნება ბევრად არის დაკავშირებული სოფლის მშრომელთა მზრდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებასთან, ისეთი ეკონომიური ურთიერთობის სისტემის შექმნასა და გამოყენებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა მატერიალურ დაინტერესებას.

ცხოვრებამ საესებით დაადასტურა ეკონომიური ბერკეტების ქმედითობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ მარჯვედ ვუხამებთ მორალურ სტიმულებს. ამასთან დაკავშირებით გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ ოფხაზეთის ასს რესპუბლიკის და ზოგიერთი რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი — ჯამაინც არ ჩქარობენ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც მიწათმოქმედთ გაუდვევენდნენ მატერიალურ დაინტერესებას სიმინდის წარმოების ამაღლებით. საჭიროა არ არის იმის მტკიცება, თუ რაოდენ დროული და საჭიროა ჩარმოების უკლებლივ ყველა დარგში გამოვიყენოთ ეს სისტემა, რომელიც გააძლიერებს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას წარმოების ინტენსიფიკაციით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა პრინციპული დებულებანი პროდუქციის წარმოების ზრდის და ხარისხის გაუმჯობესების გზებისა და მეთოდების შესახებ. სოფლის მეურნეობაში წინა პლანზე გამოდის მისი ინტენსიფიკაციის ამოცანები. მეცხოველეობას თუ ვიგულისხმებთ, ეს ნიშნავს, რომ დარგის პროდუქციის წარმოების ზრდა ძირითადად უნდა უზრუნველყოფთ მისი პროდუქტიულობის ამაღლებით. ეს სწორედ პროდუქტიულობის ამაღლების მეოხებით დაიწყო რესპუბლიკაში რძისა და ხორცის წარმოების განუხრელი ზრდა. პირველი აპრილისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 2.201 ტონით მეტი ხორცი და 4.824 ტონით მეტი რძე. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ დმანისის, გურჯაანის, ბორჯომის და ზოგიერთ სხვა რაონებს, რძის გეგმების შესრულებაში — გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ახმეტისა და სხვა რაონებს.

მეცხოველეობაში მაღალ მოჯნებს მაშინ მივაღწევთ, თუ ძალონის დაუზოგავად ვშრომობთ და ყველა რეზერვს ვიყენებთ. სწორედ ასე იქცევიან მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, სადაც ხორცელდება ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა უხვად შეიქმნას სრულფასოვანი საკვები, განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს ჯოგი, მაღლდებოდეს პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი დონე, მატულობდეს მათი პროდუქტიულობა და სულადობა. მაგრამ ასე როდი იქცევიან ყველა რაიონსა და მეურნეობაში. სწორედ ამიტომ ჩრის ნაკლოვანებებიც. დუშეთის რაიონმა ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულა 66 პროცენტით, თიანეთისამ — 76 პროცენტით, სამტრედიისამ — 78 პროცენტით, თეთრი წყაროსამ — 83 პროცენტით, ხოლო ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობებმა — 73 პროცენტით. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საქმეში ჩამორჩნენ ჭარელის რაიონის კოლმეურნეობანი, კასპის, საგარეჯოს, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ჩხოროწყუს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო მეურნეობანი. პირუტყვის ცუდი მოვლა, სუსტი ზოოვეტერინარული მეთვალყურეობა — აი რა არის ამის ძირითადი მიზეზი, რომ საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტის, ორჯონიკიძის, დმანისის, თეთრი წყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში შემცირდა პირუტყვის სულადობა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მეცხოველეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხებს, დროის გადაუდებელ მოთხოვნებს — ხორცის, რძის წარმოების ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას, გეგმაზომიერ გადასვლას ცხვილ კომპლექსურ მექანიზებულ ფერმებზე. აქ ილაპარაკეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობა. კერძოდ, თქვეს, რომ საჭიროა მეცხოველეობა და მეფრინველეობა უზრუნველყოფთ სრულფასოვანი კომბინირებული საკვებით, შეექმნათ თივის, სენაჟის, სილოსის, სხვა წვნიანი და კონცენტრირებული საკვების საჭირო მარაგი. იმისათვის, რომ ხორცის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას მივაღწიოთ, საჭიროა გავაფართოოთ ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლ. მარშანიამ,** პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ბადრაშვილმა,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. ველიდიაშვილმა,** აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დ. თებიძემ,** რესპუბლიკურ გაერთიანება „საქმოსტანკინშოესლის“ უფროსმა **გ. მორჩაძემ.**

თათბირის შედეგები შეჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ამხ. ე. შევარდნაძემ.**

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისასალმებელი დეპეშები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ ქავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ ქავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალურმა მდივანმა, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აპმედ ჰასანალ-ბაქრმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს სსრ ქავშირისა და ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავთან დაკავშირებით.

1972 წლის ხელშეკრულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ქავშირისა და ერაყის ურთიერთობის ისტორიაში. შექმნა რა მტკიცე საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზა საბჭოთა ქავშირსა და ერაყს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისათვის, მას აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, ემპირიალიზმი, სიონიზმი და რეაქცია, რომლის ფარგლებში შეიძლება მიეღწიოთ და უნდა მივაღწიოთ კიდეც მტკიცე და სამართლიან მოწესრიგებას.

მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ვითარება ჯერ ისევ საშიშია. სხვადასხვაგვარ ვერც იქნება, სანამ არ აღკვეთილა ძაძაბულობის მთავარი წყაროები, სანამ გრძელდება არაბული მიწების ოკუპაცია და არ არის ლიკვიდირებული ისრაელის აგრესიის შედეგები. სანამ არ შექმნილა ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის უშიშროების სამუდამო გარანტიები.

ეს უნდა შეიგნოს ყველამ. საშიშროებ ის არის, რომ ძაძაბულობის რამდენადმე შენელების ფონზე აგრესორსა და მის მთარველებს შეუძლიათ ქვლავ სცადონ პრობლემის რადიკალური, ყოვლისმომცველი გადაწყვეტის თავიდან აცილება. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელ ხანს მიმართავენ, მე ვიტყოდი, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების „ნაბიჯ-გეგმებს“. თაქტიურად სამეტეხება საერთო მოწესრიგების შეცვლას სხვადასხვაგვარი „ნაწილობრივი“ შეთანხმებებით.

რაც შეეხება საბჭოთა ქავშირის პოზიციას, იგი წათელი და თანმიმდევრულია. ჩვენი პოლიტიკა

ამხანაგ ჰაფეზ ასადის სიტყვა

ამხანაგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო ლ. ი. ბრეჟნევ!

ამხანაგო სსრ ქავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი!

ამხანაგო სსრ ქავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინ!

მეგობრებო!

მე სულითა და გულით მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ბრეჟნევს მისალმებისა და მეგობრობის გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც სტუმარმოყვარეობისა და გულთბილობის ოდინდელი ტრადიციების გამოხატულებაა.

ოქტომბრის ომის შედეგების ობიექტური შეფასებისას, ჩვენ ვხედავთ, თუ რა ლაზავრი ჩასცა მან ისრაელს. ისრაელის ახლანდელი ამბები მოწმობენ, რომ ოქტომბრის ომმა შეარყია აგრესიის საზოგადოება და ბევრ ფიქრსელს თავი წაეცალა. ამასთან მხედველობაში გვაქვს არა მარტო გარეგანული ნიშნები, არამედ უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ საბოლოო შედეგებს. ეს შედეგები გამოვლინდება ორი ძირითადი მიზნის განხორციელებისას, რომლებისთვისაც იბრძვის ჩვენი ხალხი. სახელდობრ, ეს არის ისრაელის ჯარების სრული გაყვანა არაბული ტერიტორიებიდან, რომლებიც ოკუპირებულ იქნა 1967 წლის აგრესიის შედეგად, და სრული უფლებების დაბრუნება პალესტინის არაბი ხალხისათვის, და ამის მიზანია მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში. სანამ ამ ორ მიზნის არ მივაღწიეთ, ჩვენთვის, რომ ოქტომბრის ომი გრძელდება, რომ იგი ჯერ არ დამთავრებულა. ამ თვალსაზრისით ვთანხმებთ ყველა მოვლენას, რომლებიც მოძღვა გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ის, რაც გაკეთდა, და ის, რაც ახლა კეთდება. იმის მიხედვით უნდა შეფასდეს. თქ რამდენად ემსახურება ამ ორი სამართლიანი მიზნის მიღწევას. ამ საფუძველზე განსაზღვრავთ ჩვენს პოზიციას.

ჩვენ მადლიერებით აღვნიშნავთ მტკიცე მხრდაჭერას, რომელსაც საბჭოთა ქავშირი უწევს ამ ორ მიზანს, მის დახმარებას ჩვენს ბრძოლაში. ამას. რომ იგი სამართლიანობას ემხრობა.

მეგობრებო! ეკანასკნელი წლების მანძილზე სირიის არაბთა რესპუბლიკასა და სსრ ქავშირს ურთიერთობა დიდად განვითარდა, გაფართოვდა ჩვენი თანამშრომლობის დარგები, ამასთან დაქავშირებით სიამოვნებას მგვრის განვაცხადო, რომ ვესწრაფვით კიდევ უფრო განვითარონ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა და განამტკიცონ მეგობრობა, რაც ურთიერთხელსაყრელია და შეესაბამება ჩვენი ხალხების საერთო ინტერესებს.

ვხედავ, ამ ოაიონ ერა ამით, ჩვენი ახლანდელი ვიზიტი და მოლაპარაკება, რომლებიც ტრადიციული მეგობრობის ატმოსფეროში დაიწყო, იმის შესაძლებლობად მიგვაჩნია, რომ ახალი ნაბიჯები გადავდგათ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე.

ბრძოლა, რომელსაც ჩვენ გაწარმოებთ ჩვენი მიწების განთავისუფლებისათვის, მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს ეკონომიკურ განვითარების დარგში. ჩვენი ხალხი, . რომელიც იარაღით ხელში განაგრძობს ბრძოლას ბრძოლას განთავისუფლებისათვის, ამავე დროს ძალღონის დაუზოგავად ცდილობს აღადგინოს ის, რაც ისრაელ აგრესორთა ბომბებმა დაანგრია და აღმოფხვრას ყოველგვარი შეფერხებანი განვითარების გეგმის შესრულებაში.

მეგობრებო! სირიის არაბთა რესპუბლიკა ამათ პირველ რიგებში იყო, არის და იქნება, ვინც მთელი მსოფლიოს თავისუფლებას, ჰუმანიზმის მაღალ პრინციპებს იცავს. ამ ბრძოლას ვიწვევით დიდმიწის მთელ თავისუფლებისმოყვარე ძალებთან, ამათთან ერთად, ვინც სამართლიანობისა და ხალხთა თანასწორობისათვის, ჩაგრის, ექსპლოატაციის. აგრესიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ იბრძვის. ჩვენი აზრით, ყოველი ხალხის ყოველი წარმატება, მისი ყოველი გამარჯვება ყველა ხალხის გამარჯვებაა და ამათი დამარცხებაა, ვინც ხელს უშლის ხალხთა პროგრესს.

ვიბრძვით რა ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების დამყარებისათვის, ჩვენ ამავე დროს ვიბრძვით ეკსპლოატაციის, ჩაგრისა და აგრესიის, ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების აღკვეთისათვის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში ურთიერთობის ახალი საფუძვლის შექმნისათვის, რათა განვითარებადი ქვეყნების ხალხებმა ისარგებლონ თავიანთი შრომის ნაყოფით, მთლიანად გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრენი. ამ გარემოებას დიდი ყურადღება დავუთმეთ მიმთხრობელ სახელმწიფოთა მეთაურების მოთხრ კონფერენციის დროს, რამაც ხელი შეიწყო ალართიანებული ერების ორგანიზაციის ენერგიული ასამბლეის ახლანდელი სპეციალური სესიის მოწვევას.

სირიის არაბთა რესპუბლიკამ მთლიანად და სავსებით დაუჭირა მხარი ამ სესიის მოწვევის წინადადებას, რადგან დადგა ისეთი ახალი საფუძვლების შემუშავების დრო, რომლებიც გამორიცხავენ განვითარებადი ქვეყნების იქსპლოატაციას როგორც მათი სანედლეულო საქონლის ექსპორტის, ისე მათ მიერ საბრუნველო ნაწარმის იმპორტის საქმეში.

მინდა ქვლავ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმ გულთბილი მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომლებსაც გვიწევთ ჩამოსვლის წუთიდან.

დასასრულ დღეგრძელობას. ვუსურვებ სირია-საბჭოთა ქავშირის მეგობრობას და ჩვენი ხალხების თანამშრომლობას!

ამხანაგებო!

ვადღეგრძელებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის, ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს, ვადღეგრძელებ ყველა საბჭოთა ხელმძღვანელს, საბჭოთა ქავშირის ხალხთა შემდგომ წარმატებებს, ჩვენი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას.

* * *

ამხანაგების **ლ. ი. ბრეჟნევისა** და **ჰაფეზ

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი № 161

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — გივი სერგის-ძე **გაჩეჩილაძე** — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროენერგეტიკული ინსტიტუტის ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე ილიას-ძე **ბუაძე** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ანეკელ ლევონის ასული **ხაკიანი** — თბილისის 92-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

კონსტანტინე ვახტანგის-ძე **კაპანაძე** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

სერგო ტიგრანის-ძე **ეგიაზაროვი** — თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის კოლექტივისაგან;

თამარ ლავრენტის ასული **გიორგაძე** — არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

გივანეკ გრიგოლის-ძე **კირაკოსიანი** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სავაგონო დეპოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

გიორგი ონისიმეს-ძე **ბერუაშვილი** — ნავობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბორის იაკობის-ძე **მაჩულსკი** — არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის № 1 ავტომარემონტო ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გიული ცაცის ასული **რევაზიშვილი** — თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლილი თეოდორეს ასული **გოგელიანი** — სატყეო, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვლადიმერ მიხეილის-ძე **ტურაროსოვი** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

